



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1307
13/07/2018

ქალაქი ბათუმი

1307-05-4-201807131805



მირზა ბახტაძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის I რანგის ხელმძღვანელის ქ. თბილისში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი 2018 წლის 13 ივლისის №9537/05 კორესპოდენციის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. მირზა ბახტაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის I რანგის ხელმძღვანელი მივლინებული იქნეს ქალაქ თბილისში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და შ.პ.ს. „კაბადოკია“-ში. 2018 წლის 15 ივლისიდან 17 ივლისის ჩათვლით.

2. ქ. თბილისში გადაადგილება მოხდეს მირზა ბახტაძის საკუთრებაში არსებული ავტომობილით (NISSAN-TIIDA სახელმწიფო ნომრით DS-395-SD) და გამოეყოს 120 ლიტრი (ბენზინი) საწვავი.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) და მერის მოადგილემ (კ. ფუტკარაძე) უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა